

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ზ ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყეშვილი ზურაბ ბუცხრიკიძე

„ 01 “ 08 “ 2014 წელი

ეგზ. № 1

თვითმმართველი ქალაქის - ფოთის
2012-2013 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში *აქ-18/00*

2014 წელი

შინაარსი

აუდიტის ძირითადი მიზანი	4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
თვითმმართველი ქალაქის - ფოთის ზოგადი მიმოხილვა.....	4
პირობითი მოსაზრების საფუძველი	9
➤ შემოსავლები	9
ქონების გადასახადი	9
დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება	11
შიდა საქალაქო სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა	12
ავტომაქანების პარკირებისთვის (ავტოსადგომი) განკუთვნილი ადგილები	13
საპროცენტო შემოსავლები (ბანკი)	13
➤ ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები	15
გზის კაპიტალური მოწყობის სამუშაოები	15
მშენებარე პოლიციის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ასფალტის დაგება	18
პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა	19
თეატრის რეკონსტრუქცია.....	20
მწვანე ნარგავებზე მინათების სამუშაოები.....	20
ქ. ფოთში ლიფტების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული სამუშაოები	21
ფოთის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციის პროექტი.....	21
არაგონივრულად მაღალი ფასით შესყიდული საქონელი და მომსახურება.....	22
საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა.....	26
ქუჩების დაგვა-დასუფთავება (ფართობის სხვაობა)	26
გადახდილი დღგ.....	27
მიმწოდებლებზე გაცემული ავანსები	28
საკადრო პოლიტიკა.....	29
თვითმმართველობის შპს-ები	30
პრეტენდენტებისაგან ერთგვაროვანი სამუშაოების შესრულების (გამოცდილების) მოთხოვნა.....	30
აუდიტორული ფირმის მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი	32

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანების შესრულება	33
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	34
შსს-ს ადგილობრივ ორგანოებზე გაწეული ხარჯი	34
საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა	34
სხვადასხვა საქონლის შესყიდვა.....	34
საჯარიმო თანხების გადახდა	35
განხორციელებული შესყიდვები	35
აუდიტის დასკვნა.....	36
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	36
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....	36

აუდიტის ძირითადი მიზანი

აუდიტის ძირითად მიზანია 2012-2013 წლებში თვითმმართველი ქალაქის - ფოთის მიერ საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გახარჯული თანხების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე დასაბუთებული რწმუნების მოპოვება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა და ზედამხედველობა, რომ თვითმმართველი ქალაქის - ფოთის მიერ განხორციელებული საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. გარდა ამისა, ხელმძღვანელი პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის ნორმების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა თვითმმართველი ქალაქის - ფოთის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

თვითმმართველი ქალაქის - ფოთის ზოგადი მიმოხილვა

თვითმმართველი ქალაქი ფოთი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

ქ. ფოთის ფართობია 65.8 ათასი კვ.მ. მოსახლეობის რიცხოვნობა 2013 წლის მონაცემებით შეადგენს 45.8 ათას კაცს¹, ქალაქი აერთიანებს 4 ტერიტორიულ ორგანოს.

თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებულია და ფუნქციონირებს 22 ა(ა)იპ და 10 შპს.

ქ. ფოთის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- საბიუჯეტო პროცესის განხორციელება (საბიუჯეტო ურთიერთობა და პასუხისმგებლობა);
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია;
- მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- ადმინისტრაციულ ერთეულში სოციალურად დაუცველი პირების აღრიცხვა.

ბიუჯეტი

2012-2013 წლებში ქ. ფოთის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 47 975.3 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა - 50 283.8 ათასი ლარი. სხვაობა დაბალანსებულია ნაშთის ცვლილებით .

¹ წყარო: www.poticity.ge


ცხრილი 1

(ათასი ლარი)			
დასახელება	2012 წელი	2013 წელი	ჯამი
შემოსულობები	30 260.4	17 714.9	47 975.3
შემოსავლები	27463.9	17006.9	44470.8
არაფინანსური აქტივების კლება	2796.5	708.0	3504.5
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	0	0	0
ვალდებულებების ზრდა	0	0	0
გადასახდელები	30 776.8	19 507.0	50 283.8
ხარჯები	17661.7	12926.5	30588.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	12937.5	6377.7	19315.2
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოყენების გარდა)	0	0	0
ვალდებულებების კლება	177.6	202.8	380.4
ნაშთის ცვლილება	-516.4	-1 792.1	

❖ შემოსულობები

ქ. ფოთის ბიუჯეტმა შემოსულობების ნაწილში 2012-2013 წლებში შეადგინა: 2012 წელს - 30 260.4 ათასი ლარი და 2013 წელს - 17 714.9 ათასი ლარი. შემოსულობების 93% უჭირავს შემოსავლებს, ხოლო 7% - არაფინანსური აქტივების კლებას.

დიაგრამა 1: შემოსავლები 2012-2013 წწ. (ათასი ლარი)



წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, წინა წელთან შედარებით, კლების მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა გრანტების მუხლში 61%, რაც განაპირობა იმან, რომ სპეციალური ტრანსფერის სახით, რომელზეც გრანტების ყველაზე დიდი წილი მოდის, 2013 წელს გამოიყო მხოლოდ 5 343.5 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე² 68%-ით ნაკლებია. 57%-იანი ზრდა დაფიქსირდა სხვა შემოსავლების მუხლში, რაც ძირითადად გამოიწვია იმან, რომ 2013 წელს საკუთრებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1 652.2 ათასი ლარი, რაც წინა წელთან შედარებით³ თითქმის გაორმაგებული მაჩვენებელია.

არაფინანსური აქტივების კლება

ქ. ფოთის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, არაფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი 2013 წელს, 2012 წლის მაჩვენებელთან შედარებით, შემცირებულია 75%-ით. აღნიშნული ძირითადად განაპირობა 2013 წელს მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის შემცირებამ, რომელზეც მოდის არაფინანსური აქტივების კლების დაახლოებით 88%.

❖ გადასახდელები

ქ. ფოთის ბიუჯეტმა გადასახდელების ნაწილში 2012-2013 წლებში შეადგინა: 2012 წელს - 30 776.8 ათასი ლარი; 2013 წელს - 19 507.0 ათასი ლარი. ცვლილება გამოიწვია იმან, რომ 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, შემცირდა სუბსიდიის მუხლი 5 247.2 ათასი ლარით, ძირითადი აქტივების მუხლი - 6 559.8 ათასი ლარით და პროცენტის მუხლი - 72.4 ათასი ლარით. დანარჩენ მუხლებში კი დაფიქსირდა ზრდა, ჯამურად - 609.6 ათასი ლარი.

ბიუჯეტის შესრულების მიხედვით, 2012-2013 წლებში გადასახდელების 61% მოდის ხარჯებზე, 38% - არაფინანსური აქტივების ზრდაზე, ხოლო 1% - ვალდებულებების კლებაზე.


ხარჯები

ხარჯები 2013 წელს 2012 წელთან შედარებით შემცირდა 27%-ით.

² 2012 წელი - 16 891.0 ათასი ლარი.

³ 2012 წელი - 880.3 ათასი ლარი.

დიაგრამა 2: ხარჯები 2012-2013 წწ. (ათასი ლარი)



წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, აღნიშნულ პერიოდში შემცირდა სუბსიდიების მუხლი 45%-ით და პროცენტის მუხლი - 33%-ით. ხარჯების დანარჩენ მუხლებში დაფიქსირდა ზრდა. ზრდის განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი აღინიშნა სხვა ხარჯების მუხლში - 191%, რაც ძირითადად განაპირობა პერსონალის დაზღვევის ხარჯის ზრდამ.⁴

არაფინანსური აქტივების ზრდა

ქ. ფოთის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის მაჩვენებელი 2013 წელს წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირდა 51%-ით, რაც გამოიწვია ინფრასტრუქტურული ღონისძიებების ფარგლებში განხორციელებული პროექტების შემცირებამ.

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

თვითმმართველი ქალაქის - ფოთის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია 2012-2013 წლებში წარმოდგენილია ჯამური მაჩვენებლებით:

⁴ პერსონალის დაზღვევის ხარჯი: 2012 წელი - 9.1 ათასი ლარი; 2013 წელი - 29.1 ათასი ლარი.

კატეგორია	პროცენტი
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1%
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	3%
ეკონომიკური განვითარება	11%
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	15%
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	17%
კულტურა და რელიგია	36%
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	7%
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	3%
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	3%
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1%
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1%

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ქ. ფოთის ბიუჯეტის შემოსავლები შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერებისა და საკუთარი შემოსავლებისგან. ბიუჯეტის შემოსავლებში ძირითადი წილი უჭირავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ ტრანსფერებს. ფოთის საკუთარი შემოსავლების ანალიზის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე ფაქტი, რომლის გათვალისწინებისა და სწორი მართვის შემთხვევაში, შესაძლებელია ადგილობრივ ბიუჯეტში მნიშვნელოვნად გაიზარდოს ქ. ფოთის საკუთარი შემოსავლების წილი მთლიანად მიღებულ შემოსავლებში.

თვითმმართველი ქალაქის - ფოთის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები შედგება ქონების გადასახადისაგან, რომლის ერთ-ერთი ძირითადი გადამხდელია სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“, რომლის წილი ქონების გადასახადის სახით მიღებულ

შემოსავალში 2012 წელს შეადგენს 32.5%-ს, ხოლო 2013 წელს - 33%-ს. ნავსადგურის მიერ განხორციელებული გადახდებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ ნავსადგურის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი ნაგებობა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, 2011 წლის 1 იანვრამდე სარგებლობდა საგადასახადო შეღავათით. კერძოდ, ნაგებობა „სამხრეთი დამცავი მოლო“ გათავისუფლებული იყო ქონების გადასახადისაგან, როგორც ბუნების დაცვის ობიექტი.

აღსანიშნავია, რომ 2011 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული შეღავათი გაუქმდა, მაგრამ ნავსადგურის მიერ გადახდილი ქონების გადასახადი 2011 წელს, ზრდის ნაცვლად შემცირებულია 540.7 ათასი ლარით⁵. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს მაღალი რისკი, რომ საზღვაო ნავსადგურს, ნაგებობა - „სამხრეთი დამცავი მოლო“ არ შეუტანია ქონების გადასახადით დასაბეგრ ობიექტთა ნუსხაში. შედეგად თვითმმართველი ქალაქის - ფოთის ბიუჯეტში, სავარაუდოდ სრულად არ ირიცხება ადგილობრივი გადასახადის სახით კუთვნილი - ქონების გადასახადი, რომლის ოდენობა დაუზუსტებელია, ვინაიდან, სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“ არის კერძო საკუთრების ობიექტი, ხოლო გადასახადის ადმინისტრირების საკითხი წარმოადგენს საგადასახადო ორგანოს პრეროგატივას, შესაბამისად, მისი საბუღალტრო დოკუმენტაცია ამ ეტაპისათვის აუდიტის ჯგუფისათვის არ არის ხელმისაწვდომი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ანალიზით დადგინდა, რომ დამცავი მოლოს სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 2005-2009 წლებში გამოყოფილია 33 640.3 ათასი ლარი, ხოლო სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ სხვადასხვა ინტერნეტგამოცემებში განთავსებული ინფორმაციებით, დამცავი მოლოს სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ჰოლანდიის მთავრობის, ევროგაერთიანებისა და „შავი ზღვის ბანკის“ მიერ, გრანტის სახით გამოყოფილია 26 მლნ. ევრო, რაც დაახლოებით 62 000.0 ათას ლარს შეადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამცავი მოლოს დასაბეგრი ღირებულების გაანგარიშებისათვის, მხოლოდ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, გრანტის სახით გამოყოფილი თანხების გათვალისწინების შემთხვევაში, ქ. ფოთის ბიუჯეტი წლიურად, დამატებით მიიღებდა დაახლოებით 620.0 ათას ლარს, ხოლო სრული თანხის დასადგენად,

⁵ 2010 წელს გადახდილია - 1 751.2 ათასი ლარი, ხოლო 2011 წელს - 1 210.5 ათასი ლარი.

აღნიშნული საკითხი საჭიროებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ შემდგომ შესწავლას.

დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება

2012-2013 წლებში ქ. ფოთში, დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებას (ამოღება) ახორციელებდა შპს „ინფრასტრუქტურა 2008“, ღირებულებით: 2012 წელს - 110.0 ათასი ლარი, 2013 წელს - 120.0 ათასი ლარი, ხოლო დასუფთავების მოსაკრებლის სახით ბიუჯეტში მობილიზებულმა თანხამ შეადგინა: 2012 წელს - 455.3 ათასი ლარი, 2013 წელს - 477.4 ათასი ლარი⁶. აღსანიშნავია, რომ დასუფთავების მოსაკრებლის სტაბილური გადამხდელები არიან ქალაქის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იურიდიული პირები, რომელთა წილი მიღებულ საერთო თანხაში შეადგენს: 2012 წელს - 84 %-ს, ხოლო 2013 წელს - 89 %-ს. რაც შეეხება ფიზიკური პირებიდან მიღებულ შემოსავლებს, 2012 წელს მისაღები შემოსავლიდან მიღებულია მხოლოდ - 35% (73.8 ათასი ლარი), მათ შორის, 15.5 ათასი ლარი შეადგენს დასაქმებული ფიზიკური პირების შრომის ანაზღაურებიდან დაკავებულ თანხას, 5.2 ათასი ლარი მიღებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან, როგორც იძულებით გადაადგილებულ პირთა გადასახადი, ხოლო 2013 წელს - 25 % (51.9 ათასი ლარი), მათ შორის, 10.1 ათასი ლარი შეადგენს შრომის ანაზღაურებიდან დაკავებულ თანხას, ხოლო 4.1 ათასი ლარი მიღებულია როგორც იძულებით გადაადგილებულ პირთა მიერ გადახდილი დასუფთავების მოსაკრებელი.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ დასაფთავების მოსაკრებლის სახით მიღებულ შემოსავალში, ფიზიკური პირების წილი მთლიანი შემოსავლის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს და ასევე შეინიშნება მიღებული თანხების კლების ტენდენცია, კერძოდ, თვითმმართველობის სტრუქტურებში დასაქმებულ პირებზე დაკავებული და იძულებით გადაადგილებულ პირებზე გადახდილი თანხების გამოკლებით, 2012 წელს ფიზიკური პირებიდან მიღებულმა დასუფთავების მოსაკრებელმა შეადგინა - 11 %, ხოლო 2013 წელს - 8%, რაც იმაზე მიაჩნებს, რომ შპს „ინფრასტრუქტურა 2008“-ის მიერ, ფიზიკური პირებიდან დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების ღონისძიებები სათანადოდ არ ხორციელდება.

⁶ 2013 წელს დაფიქსირებული ზრდა განპირობებულია წინა წელს, იურიდიული პირებიდან მიუღებელი თანხების ამოღებით.

რადგან ფიზიკური პირებიდან მიღებული გადასახადის წილი დაბალია, შესაძლებელია, ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირთან, გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში განისაზღვროს ის პროცენტული თანაფარდობა, რომელიც ტენდერში გამარჯვებულმა უნდა ამოიღოს სხვადასხვა კატეგორიის გადასახადის გადამხდელებისგან, ასევე შესაძლებელია სხვა წესის შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს ბიუჯეტში მისაღები შემოსავლების ზრდას და გააუმჯობესებს დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებას.

შიდა საქალაქო სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა

ქ. ფოთის საკრებულოს 2011 წელს მიღებული აქვს დადგენილება,⁷ რომლის მიხედვით განსაზღვრულია ფოთის ტერიტორიაზე მოძრავი სამარშრუტო ტაქსების ყოველთვიური სალიცენზიო გადასახდელი, მიკროავტობუსებისთვის 50 ლარი, ხოლო ავტობუსებისთვის - 30 ლარი.⁸

ფოთის ტერიტორიაზე მოძრავ სამარშრუტო ტაქსებს შესაბამისი ნებართვის გარეშე გადაჰყავთ მგზავრები და არ იხდიან საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრულ სანებართვო გადასახადს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ქალაქის ტერიტორიაზე მოძრაობს დაახლოებით 65 მიკროავტობუსი. იმის გამო, რომ ქალაქში მოძრავ სამარშრუტო ტაქსებს არ გააჩნიათ შესაბამისი ნებართვა და არ იხდიან დადგენილ ყოველთვიურ გადასახადს, ფოთის ბიუჯეტი ყოველწლიურად სავარაუდოდ ვერ იღებს დაახლოებით 39.0 ათასი ლარის შემოსავალს. ჯამში 2012-2013 წლებში ბიუჯეტში მიუღებელმა შემოსავალმა სავარაუდოდ შეადგინა 78.0 ათასი ლარი.

ქ. ფოთის ტერიტორიაზე, ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანებს, გარდა მიკროავტობუსებისა, ახორციელებს შპს „ფოთიქალაქტრანსპორტი“, რომელმაც კონკურსში გამარჯვების შედეგად მოიპოვა მგზავრთა გადაყვანის უფლება და ექვსი ავტობუსით ემსახურება ქალაქს. საკონკურსო პირობების თანახმად, ტენდერში

⁷ „თვითმმართველი ქალაქ ფოთის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის გაცემისთვის კონკურსის ჩატარებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“. 2011 წლის 29 მარტი, N5/36.

⁸ დადგენილების მიხედვით, 16 მგზავრამდე ტევადობის სამარშრუტო ტაქსისთვის ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 50 ლარს, ხოლო 16 მგზავრს ზემოთ - 30 ლარს.

⁹ დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია თვითმმართველი ქალაქი ფოთი.

გამარჯვებულმა შპს-მ ერთ ავტობუსზე უნდა გადაიხადოს 30 ლარი, შესაბამისად, შპს „ფოთიქალაქტრანსპორტმა“ ქ. ფოთის ბიუჯეტში ყოველწლიურად უნდა შეიტანოს 2.1 ათასი ლარი, რაც 2012-2013 წლებში არ განუხორციელებია. შედეგად აღნიშნულ პერიოდში ბიუჯეტმა სავარაუდოდ ვერ მიიღო 4.2 ათასი ლარის შემოსავალი.

ავტომანქანების პარკირებისთვის (ავტოსადგომი) განკუთვნილი ადგილები

თვითმმართველ ქალაქ ფოთის საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული აქვს პარკირებისთვის განკუთვნილი 34 სხვადასხვა ადგილი, რომელთა საერთო ფართობი შეადგენს დაახლოებით 10 ათას კვ.მ. აუდიტის ჯგუფის მიერ, შერჩევით, რამდენიმე ავტოსადგომის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ ტერიტორიებზე ფუნქციონირებს ფასიანი პარკინგი. აღსანიშნავია, რომ ქ. ფოთის მერიას ეს ადგილები არ აქვს იჯარით გაცემული, ამიტომ იგი შემოსავალს ვერ იღებს არსებული ავტოსადგომებიდან. თვითმმართველი ქალაქის - ფოთის საკუთრებაში არსებული საპარკინგო ტერიტორიების, საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული მინიმალური საიჯარო ქირით გაცემის შემთხვევაში, მერია სავარაუდოდ ყოველწლიურად მიიღებდა დაახლოებით 42.3 ათასი ლარის შემოსავალს.¹⁰

საპროცენტო შემოსავლები (ბანკი)

2012 წელს, საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ქ. ფოთის მერიამ გამოაცხადა კონკურსი 2012-2013 წლებში საბანკო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით. პრეტენდენტებს შორის ვაჭრობის კრიტერიუმებს წარმოადგენდა:

- თავისუფალ ნაშთზე დასარიცხი საპროცენტო სარგებელი;
- თვითმმართველი ქალაქის - ფოთის ტერიტორიაზე სოციალური პროგრამის (სპორტი, კულტურა, სოციალური დაცვა და სხვ.) დაფინანსება.

კონკურსში წინადადება წარმოადგინა ოთხმა პრეტენდენტმა, მათ შორის, სს „ლიბერთი ბანკის“ წინადადება მოიხსნა იმის გამო, რომ შემოთავაზებული პირობები არ შეესაბამებოდა საკონკურსო მოთხოვნებს. დანარჩენი სამი პრეტენდენტის შემოთავაზებული საპროცენტო სარგებელი, მერიის მიერ მომსახურე ბანკში განთავსებული სახსრების თავისუფალ ნაშთზე, მოცემულია ცხრილში.

¹⁰ დაანგარიშება განხორციელდა ქ. ფოთის საკრებულოს 2011 წლის 24 თებერვლის №3/18 დადგენილების - „თვითმმართველი ქალაქის - ფოთის ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“, მიხედვით.

ცხრილი 2: პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი წინადადებები

პრეტენდენტის დასახელება	შემოთავაზებული საპროცენტო სარგებელი	სოციალური პროგრამის დაფინანსება (ლარი)
სს „საქართველოს ბანკი“	8%	200.0
სს „ბანკი რესპუბლიკა“	18%	0
სს „თი-ბი-სი ბანკი“	10%	0

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, სს „საქართველოს ბანკმა“ მერიას შესთავაზა სოციალური პროგრამის დაფინანსების სახით 2012- 2013 წლებში 200.0 ათასი ლარის გამოყოფა (წლიურად 100.0 ათასი ლარი). აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საკონკურსო კომისიამ გამარჯვებულად გამოაცხადა სს „საქართველოს ბანკი“ და მასთან გააფორმა ხელშეკრულება.

აღსანიშნავია, რომ ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, მერიის მითითებით, სოციალური პროექტის დაფინანსების ფარგლებში, ბანკის მიერ 200.0 ათასი ლარით, ბიუჯეტის გვერდის ავლით დაფინანსდა შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი“, რომელთანაც სს „საქართველოს ბანკმა“ თანხის გასაცემად გააფორმა ხელშეკრულება გენერალური სპონსორობის შესახებ.

გამოვლენილი გარემოების შედეგად, მერიის მიერ დარღვეულია ბიუჯეტის ყოვლისმომცველობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ყველა შემოსულობა უნდა აისახოს შესაბამის ბიუჯეტში. შესაბამისად, სს „საქართველოს ბანკის“ მიერ შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთისთვის“ ჩარიცხული 200.0 ათასი ლარი უნდა ასახულიყო ფოთის ბიუჯეტში და ამის შემდგომ უნდა მომხდარიყო მისი განკარგვა.

2012-2013 წლებში ფოთის ბიუჯეტს საპროცენტო სარგებლის სახით მიღებული აქვს 276.8 ათასი ლარი, ხოლო სს „ბანკი რესპუბლიკას“ გამარჯვების შემთხვევაში, მხოლოდ საპროცენტო სარგებლის სახით, სავარაუდოდ მიიღებდა მინიმუმ 2-ჯერ მეტ შემოსავალს, რადგან სს „ბანკი რესპუბლიკას“ შეთავაზება შეადგენდა 18%-ს, ხოლო სს „საქართველოს ბანკის“ მიერ დარიცხული საპროცენტო სარგებელი თავისუფალ ნაშთზე - 8%-ს. შედეგად, „ბანკი რესპუბლიკას“ გამარჯვების შემთხვევაში მიღებული საპროცენტო შემოსავალი უფრო

მეტი იქნებოდა, ვიდრე „საქართველოს ბანკისგან“ მიღებული სარგებელი, სოციალური პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხის გათვალისწინებით. თუმცა აღსანიშნავია, რომ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მიღებული მაღალი საპროცენტო სარგებელის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო, ვინაიდან აღნიშნული განპირობებული იყო, 2012 წელს ქალაქ ფოთის ბიუჯეტის ანგარიშზე, დაუგეგმავად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერით, თანხით (5000.0 ათასი ლარი), რომელიც განკუთვნილი იყო ქალაქ ფოთში ეკლესიის ასაშენებლად.

➤ ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები

თვითმმართველი ერთეულის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს მატერიალური და არამატერიალური ქონების ეკონომიურად და მიზნობრივად გამოყენება. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, მისი მიზანია, თვითმმართველობის საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების პროცესში უზრუნველყოს საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვა. ქ. ფოთის მერიის აუდიტის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სავარაუდოდ შესაძლებელი იყო რესურსების უფრო რაციონალურად და ეკონომიურად გამოყენება.

გზის კაპიტალური მოწყობის სამუშაოები

2012 წლის 7 აგვისტოს, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით, თვითმმართველ ქალაქ ფოთსა და სს „არქეოპოლისს“ შორის, გამარტივებული შესყიდვის სახით, გაფორმდა ხელშეკრულება¹¹, ღირებულებით 2 312.2 ათასი ლარი, რომელიც ითვალისწინებდა ქალაქ ფოთში, რუსთაველის რკალისა და აღმაშენებლის ქუჩის რეაბილიტაციას.

სარეაბილიტაციო სამუშაოებზე შედგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, აღნიშნული სამუშაოები მოიცავდა რუსთაველისა და აღმაშენებლის ქუჩებზე არსებული (ძველი) ასფალტბეტონის საფარის დაშლას (ე.წ. აფრეზვა), სისქით 5 სმ, საერთო მოცულობით 52 801 კვ.მ და მიღებული გრანულატის გატანას დასასაწყობებლად. აფრეზვის

¹¹ ხელშეკრულება №265.

შემდეგ დაგეგმილი იყო ანაფრეზ ფართობზე ასფალტბეტონის შემასწორებელი ფენის მოწყობა 2 536 ტონა მასალის გამოყენებით, საერთო ღირებულებით - 467.0 ათასი ლარი.

სს „არქეოპოლისის“ ხელმძღვანელობამ 2012 წლის 30 აგვისტოს, ქ. ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილი წერილით მოითხოვა რუსთაველისა და აღმაშენებლის ქუჩებზე არსებული (ძველი) ასფალტბეტონის საფარის სრული აფრეზვა შეცვლილიყო მხოლოდ ნაწილობრივი აფრეზვით, კერძოდ, ბორდიურებიდან 2.0 – 2.5 მ სიგანის ფარგლებში, ვინაიდან გზის ეს ნაწილი ცენტრალურ გზასთან შედარებით უფრო მეტად იყო დაზიანებული, ხოლო გზის ცენტრალური ნაწილის მდგომარეობა სრულიად დამაკმაყოფილებელი იყო და მისი აფრეზვა არ წარმოადგენდა აუცილებლობას. სს „არქეოპოლისის“ ამ მოსაზრებას 2012 წლის 10 სექტემბრის წერილით დაეთანხმა პროექტის შემდგენელი შპს „მდგრადი 2008“. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე, 2012 წლის 26 სექტემბერს ცვლილება შევიდა მხარეებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, რომლის თანახმად შემცირდა დაზიანებული ასფალტბეტონის საფარის ასაფრეზი ფართობის მოცულობა და შეადგინა 12625 კვ.მ, რაც 4-ჯერ ნაკლებია პირველი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულთან შედარებით, ხოლო სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 2 074.2 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ასაფრეზი ფართობის 4-ჯერ შემცირებისა, არ შეცვლილა ასაფრეზი ფართობის ასფალტბეტონით შემასწორებელი ფენის მოწყობის მოცულობა.

პასუხისმგებელი პირის¹² წერილობითი განმარტებით (პირველი განმარტებით), სამუშაოების შესრულებისას ასფალტბეტონით შემასწორებელი ფენის მოწყობა განხორციელდა მხოლოდ ანაფრეზ მონაკვეთზე, რის შემდეგაც მოეწყო საფარის ბოლო ფენის დაგება, სისქით 5 სმ.

შესრულებული სამუშაოების აქტების (ფორმა №2) მიხედვით, სს „არქეოპოლისის“ მიერ ქ. ფოთში, რუსთაველის რკალსა და აღმაშენებლის ქუჩაზე შემასწორებელი ფენის სახით სრულად არის დაგებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 2503.9 ტონა ასფალტბეტონი, საერთო ღირებულებით - 461.1 ათასი ლარი. შემასწორებელი ფენის დაგების მოცულობისა და შესაბამისი ხარჯების, აფრეზილი ფართობის პროპორციულად შემცირების

¹² ქალაქ ფოთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

შემთხვევაში, სახელშეკრულებო ღირებულება უნდა შემცირებულიყო დაახლოებით 345.8 ათასი ლარით, რაც არ განხორციელებულა და სავარაუდოდ, წარმოადგენს ზედმეტად გადახდილ თანხას.

სს „არქეოპოლისის“ დირექტორის მიერ აუდიტის ჯგუფისათვის საკუთარი ინიციატივით მიცემული წერილობით განმარტებით, აღნიშნული სამუშაოების შესრულებისას შემასწორებელი ფენა მოეწყო არა მხოლოდ აფრეზილ ფართზე, არამედ გზის მთელ ფართზე დაახლოებით 2 სმ სისქით, რასაც ეთანხმება ქალაქ ფოთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, მის მიერ მოცემული მეორე წერილობითი განმარტებით.

აღსანიშნავია, რომ სს „არქეოპოლისის“ მიერ ქალაქ ფოთში შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს მოკვლევა. მოკვლევის ფარგლებში აღნიშნულ სამუშაოებზე „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს“ მიერ ჩატარებულია სამშენებლო ტექნიკური საბუღალტრო ექსპერტიზა, რაზეც გაცემულია შესაბამისი დასკვნა. საექსპერტო დასკვნაში აღნიშნულია, რომ შესრულებული სამუშაოები დათვალიერებულია ვიზუალურად და აზომვები ჩატარდა მხოლოდ ხილულ სამუშაოებს, ხოლო ფარული სამუშაოები ჩათვლილი იქნა აქტების შესაბამისად.

შესრულებულ სამუშაოებზე შედგენილი დოკუმენტაციისა და პასუხისმგებელი პირების განსხვავებული განმარტებებიდან გამომდინარე აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას ფარული სამუშაოების, კერძოდ, შემასწორებელი ფენის მოცემული რაოდენობით რეალურად გამოყენების შესახებ. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ შემასწორებელი ასფალტბეტონის ფენის ფაქტობრივად დაგების და გაწეული ხარჯის რეალობის დასადგენად მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მერიამ ჩაატაროს ან აღნიშნულ საკითხზე მიმდინარე საგამოძიებო მოკვლევის ფარგლებში ჩატარდეს დამატებითი საექსპერტო გამოკვლევები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველად შედგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, გათვალისწინებული იყო აფრეზილი 790 კუბ.მ ასფალტბეტონის მასის (გრანულატის) ტრანსპორტირება და დასაწყობება, ხოლო მეორე ხარჯთაღრიცხვაში, ამოღებულ იქნა ანაფრეზის დასაწყობების ვალდებულება. გრანულატს გააჩნია გარკვეული ღირებულება

(ფასი), რადგან ის გამოიყენება ასფალტბეტონის ქვედა ფენისა და გზის მოხრეშვითი სამუშაოების შესასრულებლად. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ იმავე პერიოდში, სს „არქეოპოლისის“ მიერ ქ. ფოთში, ფარნავაზ მეფის ქუჩის რეაბილიტაციისას, აფრეხილი ასფალტბეტონი გამოყენებულ იქნა გზის ქვედა ფენის მოსაწყობად. ფოთის მერიის მიერ რუსთაველის რკალისა და აღმაშენებლის ქუჩის რეაბილიტაციის დროს აფრეხილი ასფალტის მიღება არ ფიქსირდება, ხოლო თვითონ მერიას აღნიშნული გრანულატის გატანაში გადახდილი აქვს 5.7 ათასი ლარი.

მშენებარე პოლიციის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ასფალტის დაგება

2012 წლის 21 აგვისტოს თვითმმართველ ქალაქ ფოთსა და სს „არქეოპოლისის“ შორის, გამარტივებული შესყიდვის სახით, გაფორმდა ხელშეკრულება¹³, ღირებულებით 186.0 ათასი ლარი, რომელიც ითვალისწინებდა ქ. ფოთში მშენებარე პოლიციის შენობის მიმდებარე ტერიტორიის ასფალტის საფარისა და ბეტონის ბორდიურების მოწყობას. ხელშეკრულების დანართი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, პოლიციის ეზოში 3 816 კვ.მ ტერიტორიაზე უნდა შესრულებულიყო ქვესაგები ფენის მოწყობა კვიშახრეშოვანი ნარევით - სისქით 14 სმ, საფუძვლის მოწყობა ფრაქციული ღორღით - სისქით 8 სმ, თხევადი ბიტუმის მოსხმა და ასფალტბეტონის დაგება სისქით - 5 სმ. 2012 წლის 22 ოქტომბერს შედგენილი შესრულებული სამუშაოს აქტის მიხედვით, აღნიშნული სამუშაოები დასრულდა, ხოლო იმავე წლის 31 ოქტომბერს თვითმმართველ ქალაქ ფოთსა და სს „არქეოპოლისის“ შორის გაფორმდა ახალი ხელშეკრულება¹⁴, ღირებულებით 74.2 ათასი ლარი, რომელიც ითვალისწინებდა იმავე ტერიტორიაზე, დამატებით 3 სმ სისქის ასფალტბეტონის საფარის მოწყობას. აღნიშნული სამუშაოები 2012 წლის 13 ნოემბერს შედგენილი შესრულებული სამუშაოს აქტის მიხედვით შესრულებულია, რაზეც მხარეებს შორის გაფორმებულია შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

აღსანიშნავია, რომ შესრულებულ სამუშაოებზე შედგენილი პროექტით¹⁵, გათვალისწინებული იყო ორი ფენა ასფალტბეტონის დაგება, პირველი ფენა - მსხვილმარცვლოვანი ასფალტბეტონი, სისქით - 4 სმ და მეორე ფენა - წვრილმარცვლოვანი ასფალტბეტონი, სისქით - 3 სმ. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, იმ პერიოდში მერიას სამუშაოების შესასრულებლად არ გააჩნდა საკმარისი თანხა, რის გამო ქალაქის

¹³ ხელშეკრულება №297.

¹⁴ ხელშეკრულება №378.

¹⁵ პროექტი შედგენილია შპს „მდგრადი 2008“-ის მიერ.

ხელმძღვანელობის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მხოლოდ ერთი ფენა წვრილმარცვლოვანი ასფალტბეტონის დაგება, სისქით 5 სმ, ხოლო მეორე ფენის დაგება სისქით 3 სმ გადაწყდა მას შემდეგ, რაც ქალაქში შესრულებული სხვა სამუშაოებიდან მიღებული იქნა გარკვეული ეკონომია. უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის საფუძველზე შედგენილი ხარჯთაღრიცხვით, ქვედა ფენის დასაგებად გათვალისწინებული იყო მსხვილმარცვლოვანი ასფალტბეტონის მასა, ხოლო ფაქტიურად დაიგო უფრო მკირადღირებული, წვრილმარცვლოვანი ასფალტბეტონი. შედეგად, ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომლის მიხედვით შეიცვალა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება, გამოიწვია 42.7 ათასი ლარით მეტი ხარჯის გაწევა. რაც ამ შემთხვევაში წარმოადგენს არაეფექტურ ხარჯს¹⁶. გამომდინარე აღნიშნულიდან, მერიის მიერ შესრულებული სამუშაოების სწორად დაგეგმვის შემთხვევაში ან პროექტის მიხედვით შესრულებისას შესაძლებელი იყო 42.7 ათასი ლარის ეკონომიის მიღება.

პოლიციის მიმდებარე ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ასფალტბეტონის დაგების სამუშაოები სავარაუდოდ შესრულებულია უხარისხოდ. აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, საჭიროა მერიამ ჩაატაროს შემდგომი საექსპერტო გამოკვლევა დაგებული ასფალტის ხარისხის სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა

2012 წლის 16 იანვარს თვითმმართველ ქალაქ ფოთსა და შპს „ქალაქ ფოთის კულტურისა და დასვენების პარკს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით 100.0 ათასი ლარი, რომელიც ითვალისწინებდა ქ. ფოთში არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობას (სულ 5 პარკი). ხელშეკრულების მიხედვით, შემსრულებელს ხუთივე ობიექტზე ყოველთვიურად უნდა განეხორციელებინა მოვლა-პატრონობის სამუშაოები, რაზეც უნდა მიეღო ხარჯთაღრიცხვით გაანგარიშებული თითოეული ობიექტის მოვლა-პატრონობის შესაბამისი თანხა, რომელიც ყოველთვიურად შეადგენდა 9.1 ათას ლარს.

¹⁶ სხვაობის გამოსათვლელად გამოყენებულია იმავე პერიოდში (30.08.2012 წ. ხელ. N326) ქ. ფოთში 5სმ მსხვილმარცვლოვანი ასფალტბეტონზე გაანგარიშებული ფასი.

წარმოდგენილი შესრულების აქტების მიხედვით, შემსრულებელს მოვლ-პატრონობის სამუშაოები ჩატარებული აქვს ნაწილობრივ, კერძოდ, თვეში 2-3 პარკში, ხოლო ანაზღაურება უმეტეს შემთხვევაში გაიცემოდა სრულად (ხუთივე პარკის). აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ქალაქ ფოთის კულტურისა და დასვენების პარკს“ უნდა მიეღო 67.9 ათასი ლარი, ფაქტობრივად კი მიღებული აქვს 94.4 ათასი ლარი, ანუ 26.5 ათასი ლარით მეტი, რაც შპს „ქალაქ ფოთის კულტურისა და დასვენების პარკისათვის“, სავარაუდოდ, დაუსაბუთებლადაა ანაზღაურებული.

თეატრის რეკონსტრუქცია

2005 წლიდან თვითმმართველ ქალაქ ფოთში, შპს „კუნძულის“ მიერ მიმდინარეოდა 450 მაყურებელზე გათვლილი დრამატული თეატრის მშენებლობა, რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 10 990.9 ათასი ლარი, ხოლო 2013 წლიდან ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით განხორციელდა თეატრის დარბაზის ტევადობის გაზრდა 450-დან 600 ადგილამდე. სარეკონსტრუქციო სამუშაოებმა გამოიწვია იმ პერიოდისათვის შესრულებული ზოგიერთი ნაგებობის დემონტაჟი და გეგმის შეცვლა. შპს „კუნძულის“ დირექტორის წერილობითი განმარტებით, სარეკონსტრუქციო და დემონტირებული კომპონენტების აღდგენით სამუშაოებზე გაიხარჯა 78.6 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ თეატრის მშენებლობის სწორი დაგეგმარების შემთხვევაში, შესაძლებელი იყო რეკონსტრუქციაზე გაწეული ხარჯის თავიდან აცილება.

მწვანე ნარგავებზე მინათების სამუშაოები

2012 წელს ქ. ფოთში აღმაშენებლის ქუჩაზე შპს „გელმარის“ მიერ შესრულდა მწვანე ნარგავებზე (პალმები) მინათების სამუშაოები, კერძოდ, დამონტაჟდა 294 ცალი მწვანე სანათი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 119.7 ათასი ლარი. 2013 წლის ოქტომბერში, ანუ სამუშაოების დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ, ქ. ფოთში აღმაშენებლის ქუჩაზე, თვითმმართველი ქალაქის - ფოთის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, დაიწყო ტროტუარის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის მიმდინარეობისას ტროტუარზე დამონტაჟებული მინათების საშუალებების უმეტესობა დაზიანდა, ხოლო ელექტროგაყვანილობის ხაზები გაწყვეტილია. შედეგად, დღეის მდგომარეობით, მწვანე ნარგავებზე მინათების საშუალებების დაახლოებით 80% არ ფუნქციონირებს.

აუდიტის ჯგუფის მიერ ვერ იქნა მოპოვებული მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მერიას შემუშავებული ჰქონდა შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფდა 119.7 ათასი ლარის აქტივის დაცვას.

ქ. ფოთში ლიფტების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული სამუშაოები

2012-2013 წლებში თვითმმართველ ქალაქ ფოთს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შპს „ფოთი ლიფტთან“, საერთო ღირებულებით 96.5 ათასი ლარი, რომელიც ითვალისწინებდა ქ. ფოთში მრავალსართულიანი სახლების ლიფტების (სულ 65 ერთეული) მოვლა-პატრონობის მომსახურებას, რაც ითვალისწინებდა ლიფტების გამართულ მდგომარეობაში ფუნქციონირების მიზნით მათზე მუდმივი მეთვალყურეობის დაწესებას, წარმოქმნილი ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრას და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სრული სარემონტო სამუშაოების ჩატარებას.

აღსანიშნავია, რომ სახელშეკრულებო ღირებულება გაანგარიშებულია მხარეთა შეთანხმებით შედგენილი ლიფტების სავარაუდო შესაცვლელი სათადარიგო ნაწილებისა და მათი ფასების გათვალისწინებით (ხარჯთაღრიცხვა), რომელსაც უნდა უზრუნველყო ლიფტების გამართულად ფუნქციონირება მთელი წლის განმავლობაში. მიუხედავად აღნიშნულისა, შპს „ფოთი ლიფტმა“ თვითმმართველ ქალაქ ფოთთან შეთანხმების გარეშე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ამხანაგობის თავმჯდომარეებთან გააფორმა ხელშეკრულებები, რომლის თანახმადაც მოსახლეობას დაუწესდა ლიფტით სარგებლობის მომსახურების საფასური ერთ ჯერზე - 10 თეთრი.

შპს „ფოთი ლიფტის“ დირექტორის წერილობითი განმარტებით, ქ. ფოთში ლიფტების ფასიანი მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა 2012-2013 წლებში შეადგინა 95.0 ათასი ლარი. შესაბამისად, არსებობს რისკი იმისა, რომ სავარაუდოდ, ერთი და იმავე მომსახურების დაფინანსება ხორციელდება როგორც ქალაქის მერიის, ისე თავად მოსახლეობის მიერ.

ფოთის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციის პროექტი

2013 წლის მაისში, ქ. ფოთის მერიამ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შპს „საუკისგან“ შეისყიდა ფოთის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სამუშაო, ღირებულებით 110.0 ათასი ლარი. აღნიშნული პროექტ-ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზის მიზნით, მერიამ გამოაცხადა ტენდერი,

სადაც გაიმარჯვა შპს „ფოთის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზამ“, რომელმაც სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის ექსპერტიზაში ანაზღაურების სახით მიიღო 3.4 ათასი ლარი. იმის გათვალისწინებით, რომ ორივე ფირმას ჰყავს საერთო დამფუძნებელი¹⁷ და წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ მხარეებს, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ შედგენილი ექსპერტიზის დასკვნა რეალურად არ ასახავდეს პროექტის ნაკლოვანებებს.

არაგონივრულად მაღალი ფასით შესყიდული საქონელი და მომსახურება

საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად და ეკონომიურად გამოყენების მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაცია ვალდებულია საქონლის/მომსახურების შესყიდვის საწყის ეტაპზე ჩაატაროს ბაზრის კვლევა, რათა განსაზღვროს შესყიდვის ობიექტის შესაძლო რეალური საბაზრო ღირებულება და თავიდან აიცილოს საქონლის ან მომსახურების არაგონივრულად მაღალი ფასით შეძენა. აუდიტის ჯგუფის მიერ აუდიტის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც შესასყიდი საქონლის/მომსახურების შეძენა სავარაუდოდ შესაძლებელი იყო ნაკლები დანახარჯებით. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ თვითმმართველი ქალაქის - ფოთის მიერ განხორციელებული შესყიდვებისას, რიგ შემთხვევებში არასწორად არის გაანგარიშებული (გაზრდილი) სავარაუდო ღირებულებები.

ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოები

2012 წლის 17 თებერვალს შპს „პრიზმასთან“ გაფორმდა ორი ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 733.3 ათასი ლარი¹⁸, რაც ითვალისწინებდა ქ. ფოთში მრავალბინიანი სახლების სახურავების კაპიტალურ შეკეთებას. ორივე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე შპს „პრიზმამ“ ქვეკონტრაქტორად აიყვანა შპს „მშენებელი+“, რომელთანაც გააფორმა ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 594.0 ათასი ლარი, რაც 139.3 ათასი ლარით ნაკლებია მერიის მიერ შპს „პრიზმაზე“ გადახდილ თანხაზე.

2012 წლის 17 თებერვალს თვითმმართველ ქალაქ ფოთსა და შპს „პრიზმას“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება¹⁹, რომელიც ითვალისწინებდა ქ. ფოთში არსებული სახლების ფასადების შეკეთებას, ღირებულებით 580.2 ათასი ლარი. შესასრულებელ სამუშაოებზე შპს

¹⁷ ზურაბ ჩოჩია, შპს „საუკში“ ფლობს 33%-იან წილს, ხოლო შპს „ფოთის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზაში“ ფლობს 100%-იან წილს და ამავე დროს არის ფირმის დირექტორი.

¹⁸ ხელშეკრულება №75, ღირებულებით 512.0 ათასი ლარი და ხელშეკრულება №76, ღირებულებით 221.3 ათასი ლარი.

¹⁹ ხელშეკრულება №77.

„პრიზმამ“, თავის მხრივ ხელშეკრულება გააფორმა ქვეკონტრაქტორთან - შპს „განთიადთან“, ღირებულებით 470.0 ათასი ლარი, რაც 110.2 ათასი ლარით ნაკლებია თვითმმართველი ქალაქის - ფოთის მიერ გაცემულ თანხასთან შედარებით.

2012 წლის 24 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება შპს „განთიადთან“, რომელიც მოიცავდა ქ. ფოთში, სამეგრელოს ქუჩის №28-სა და №30-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების ფასადების კაპიტალურ შეკეთებას, ღირებულებით 132.3 ათასი ლარი. შპს „განთიადმა“ აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე ხელშეკრულება გააფორმა ქვეკონტრაქტორთან - შპს „ტოტალთან“, ღირებულებით 91.2 ათასი ლარი, ანუ 41.1 ათასი ლარით ნაკლები.

2013 წლის 24 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით²⁰, შპს „ნიუ კონსტრაქშენს“ დაევალა ქ. ფოთში ფეხბურთის სტადიონის რეაბილიტაცია, ღირებულებით 2 270.0 ათასი ლარი. აღნიშნულ სამუშაოებს შპს „ნიუ კონსტრაქშენთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს შპს „ევრაზია - 73“, ღირებულებით 2 128.1 ათასი ლარი, რაც 141.9 ათასი ლარით ნაკლებია ქ. ფოთის მიერ შპს „ნიუ კონსტრაქშენისათვის“ გადასახდელ თანხაზე. აღსანიშნავია, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები, მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობისათვის ხელშეკრულებით განკუთვნილი ვადა ამოწურულია, სტადიონის მშენებლობა დღეის მდგომარეობით დაუსრულებელია.

კონტრაქტორებსა და ქვეკონტრაქტორებს შორის დაფიქსირებული ფასთა სხვაობები, სულ 432.5 ათასი ლარი, მიუთითებს იმაზე, რომ ქ. ფოთის მერია ვერ უზრუნველყოფს შესასყიდი სამუშაოების სავარაუდო ღირებულების სწორ გაანგარიშებას, რის შედეგადაც სამუშაოების შესყიდვა ხორციელდება საბაზრო ღირებულებაზე არაგონივრულად მაღალი ფასით.

მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მეტალოკრამიტით გადახურვის სამუშაოები

2012 წელს ქ. ფოთში, სხვადასხვა შემსრულებლების მიერ განხორციელებულია საცხოვრებელი სახლებისა და სხვა შენობა-ნაგებობების, მეტალოკრამიტით გადახურვის სამუშაოები. სამუშაოების ხარჯთაღრიცხვებსა და სამუშაოს შესრულების აქტებში,

²⁰ ხელშეკრულება №197.

მეტალოკრამიტის სახურავის მოწყობის ღირებულება სხვადასხვაა/განსხვავებულია. გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, კერძოდ, მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვებში 1 კვ.მ მეტალო-კრამიტის გადახურვის ღირებულებები მერყეობს 15-დან 34.7 ლარამდე. მათ შორის, შპს „გრინ-ლაით“-ს სხვადასხვა ხელშეკრულებების ფარგლებში 1კვ.მ მეტალო-კრამიტის მოწყობაზე მიღებული აქვს 15-დან 27 ლარამდე.

შპს „პრიზმა“ გადახურვის სამუშაოები გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შეუსრულა ქვეკონტრაქტორმა, შპს „მშენებელი“-მა, რაზეც 1 კვ.მ სახურავის მოწყობაზე შპს „პრიზმამ“ აუნაზღაურა 16.1 ლარი, ხოლო თვითონ ქალაქის ბიუჯეტიდან, მიიღო 20 ლარი.

ცხრილი 3: 1 კვ.მ მეტალოკრამიტის ფასები მიმწოდებლების მიხედვით

დასახელება	მ2	ფასი 1კვ.მ	ქვეკონტრ. ფასი	
შპს „პრიზმა“; ხელშ.№75	3481	20 ლარი	16.1 ლარი	3481*3=10443 ლარი
შპს „პრიზმა“; ხელშ.№76	6350	20 ლარი	16.1 ლარი	6350*3=19050 ლარი
შპს „გრინ-ლაითი“; ხელშ.№394	2660	25 ლარი		2660*8=21280 ლარი
შპს „გრინ-ლაითი“; ხელშ.№342	310	27 ლარი		310*10=3100 ლარი
შპს „გრინ-ლაითი“; ხელშ.№236	8278	20 ლარი		8278*3=24834 ლარი
შპს „დაგი“; ხელშ.№310	770	34.7 ლარი		770*17.7=13629 ლარი
				62843 ლარი
				74657 ლარი

მიმწოდებლებსა და ქვეკონტრაქტორებზე ანაზღაურებული თანხებიდან გამომდინარე, მეტალო-კრამიტის სახურავის მოწყობის საბაზრო ფასი დაახლოებით 15-17 ლარს შეადგენს. შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის მიერ სამუშაოს შემსრულებლებზე გადახდილი **74.6 ათასი ლარი**, სავარაუდოდ, წარმოადგენს არაეკონომიურ ხარჯს.

ასფალტბეტონის დაგება

2012 წელს ქ. ფოთში ასფალტბეტონის საფარის დაგების სამუშაოებზე, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით, სს „არქეოპოლისთან“ გამარტივებული შესყიდვის სახით გაფორმებულია ოთხი ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 2537.2 ათასი ლარი. ხელშეკრულებების შესაბამისად, გაფორმებული სამუშაოს შესრულების აქტებში (ფორმა №2), ერთგვაროვან სამუშაოებსა და გამოყენებულ მასალებზე დაფიქსირებულია ფასთა სხვაობები, კერძოდ, სამუშაოს შემსრულებლისათვის განსხვავებული ღირებულებით არის ანაზღაურებული 1 კვ.მ ასფალტბეტონის დაგების ღირებულება. გამოვლენილი ფასთა სხვაობები მოყვანილია ცხრილის სახით.

ცხრილი 4: წერილმარცვლოვანი ასფალტბეტონის დაგება, 3 სმ სისქე

შემსრულებელი	ხელშეკრულების №	ხელშეკრულების დადების თარიღი	1 კვ.მ/3სმ
სს „არქეოპოლისი“	326	30.08.2012	10.87 ლარი
სს „არქეოპოლისი“	378	31.10.2012	15.71 ლარი

ცხრილი 5: წერილმარცვლოვანი ასფალტბეტონის დაგება, 5 სმ სისქე

შემსრულებელი	ხელშეკრულების №	ხელშეკრულების დადების თარიღი	1 კვ.მ/5სმ
სს „არქეოპოლისი“	265	7.08.2012	20.27 ლარი
სს „არქეოპოლისი“	297	21.08.2012	26.19 ლარი

ქ. ფოთის მერიამ აუდიტის ჯგუფს ვერ წარუდგინა ფასებს შორის არსებული განსხვავებების დასაბუთება, შესაბამისად, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებული ერთეულის ფასები არ ეფუძნებოდეს გონივრულ გათვლებს. აღნიშნული სამუშაოები შესყიდულია გამარტივებული შესყიდვის წესით, რაც ითვალისწინებდა სამუშაოს ღირებულების ანაზღაურებას ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით²¹, რაც არ განხორციელებულა. შესაბამისად, ვერ ხდება რეალური დანახარჯების სისწორის დადგენა.

²¹ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანება.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა

2012-2013 წლებში ქ. ფოთში საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანასა და გაუვნებელყოფას, გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე აწარმოებდა შპს „ინფრასტრუქტურა 2008“, საერთო ღირებულებით 966.8²² ათასი ლარი. ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ინფრასტრუქტურა 2008“-ს ევალებოდა ყოველდღიურად, დღეში ორჯერ²³, ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული 413 ცალი სანაგვე ურნა-კონტეინერის (2013 წლის ნოემბრის თვიდან - 498 ცალი) დაცლა და ნაგვის გატანა ნაგავსაყრელზე. აღსანიშნავია, რომ შპს „ინფრასტრუქტურა 2008“-ს სანაგვე ურნების დასაცლელად გააჩნია მხოლოდ 2 ნაგავმზიდი, რომლებიც ერთ ურნაზე გათვალისწინებული დროის²⁴ გამოყენების პირობებში ვერ მოასწრებენ ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობების შესრულებას, კერძოდ, შესაბამისი გაანგარიშებით²⁵ არსებული ტექნიკის რესურსი (2 ნაგავმზიდი) დადგენილ სამუშაო საათებში საკმარისია მხოლოდ არსებული ურნების 50%-ის დასაცლელად. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ქალაქის ნაკლებად დასახლებულ უბნებში განთავსებული ნაგვის კონტეინერების დღეში ორჯერ დაცლა არ არის აუცილებელი, შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ თვითმმართველი ქალაქის - ფოთის მერიამ განიხილოს საკითხი - ქალაქში განთავსებული ნაგვის ურნების დაცლისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გაუვნებელყოფის გეგმა-გრაფიკის ოპტიმიზაციის შესახებ, რამაც შესაძლებელია მნიშვნელოვნად შეამციროს საყოფაცხოვრებო ნარჩენებზე გაწეული დანახარჯები.

ქუჩების დაგვა-დასუფთავება (ფართობის სხვაობა)

2012-2013 წლებში ქ. ფოთში, ქუჩების დაგვა-დასუფთავებაზე გახარჯულია 289.4 ათასი ლარი. აღნიშნული სამუშაოები შესრულებულია შპს „ინფრასტრუქტურა 2008“-ის მიერ.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ფოთის მერიის შესაბამისმა სამსახურმა 2013 წელს დააზუსტა წინა წელს არსებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მოცულობები, რის შედეგადაც დაგვა-დასუფთავებას დაქვემდებარებული ქუჩების ფართობი შემცირდა 17%-ით (67.5 ათასი კვ.მ). გამოვლენილი გარემოების შედეგად დადგინდა, რომ

²² 2012 წელს - 500.0 ათასი ლარი, 2013 წელს - 466.8 ათასი ლარი.

²³ დილით, 06:00 სთ-დან - 10:00 სთ-მდე და საღამოს, 17:00 სთ-დან 21:00 სთ-მდე.

²⁴ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, შეადგენს დაახლოებით 2.5 წუთს, ტრანსპორტირების გარეშე

²⁵ $413 \text{ ურნა} \times 2 \text{ -ჯერ დღეში} = 826 \times 2.5 \text{ წთ} = 2065 \text{ წთ} / 60 = 34.41 \text{ სთ} / 2 \text{ მანქანა} = 17.2 \text{ სთ}.$

2012 წელს ფოთის მერიის მიერ, შპს „ინფრასტრუქტურა 2008“- ზე სავარაუდოდ ზედმეტად იქნა ანაზღაურებული 67.5 ათასი კვ.მ ქუჩების დაგვა-დასუფთავების ღირებულება, ჯამში - 25.1 ათასი ლარი²⁶.

გადახდილი დღგ

სააუდიტო პერიოდში თვითმმართველი ქალაქის - ფოთის მიერ, სამუშაოების შემსრულებლებისათვის გადახდილია დღგ იმ შემთხვევებშიც, როდესაც ამას არ ითვალისწინებდა კანონმდებლობა, სულ 160.9 ათასი ლარი, კერძოდ:

- 2012-2013 წლებში, ქალაქის ქუჩების დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა-გაუვნებელყოფაზე გახარჯულია სულ 1 256.2 მლნ. ლარი, მათ შორის, გადახდილი დღგ-ის თანხა შეადგენს **153.3 ათასი ლარს**. აღსანიშნავია, რომ 2011 წლის 20 მაისიდან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის²⁷ თანახმად, დასუფთავების ღონისძიებები გათავისუფლებულია დღგ-ისგან, ჩათვლის უფლების გარეშე. მიუხედავად ამისა, მერიამ მიმწოდებელს მაინც აუნაზღაურა დღგ-ის თანხა. აღნიშნული შეუსაბამობა გამოსწორებულია 2013 წლის აგვისტოდან და შესაბამისად, ამ პერიოდიდან არ ხორციელდება დღგ-ის თანხის დარიცხვა.
- 2012 წლის 17 აგვისტოს გამოცხადდა ტენდერი ავტომანქანის შეძენაზე, ღირებულებით 50.0 ათასი ლარი, დღგ-ის ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ავტომანქანის შეძენა ან იმპორტი განთავისუფლებულია დღგ-ისაგან²⁸, მომწოდებელს შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი“ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, თანხა გადაერიცხა სრულად, მათ შორის, დღგ 7.6 ათასი ლარი.

გარდა აღნიშნულისა, დღგ-ის თანხა გაცემულია ისეთ მომწოდებლებზე რომლებიც არ იყვნენ დღგ-ს გადამხდელები, კერძოდ;

- 2012 წლის 23 იანვარს თვითმმართველ ქალაქ ფოთსა და შპს „ავანგარდს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება სარიტუალო მომსახურებაზე, ღირებულებით 34.5 ათასი ლარი. აღნიშნული მომსახურების ღირებულებაში სატენდერო წინადადების მიხედვით, გათვალისწინებული იყო დღგ-ის გადასახადი. აღსანიშნავია, რომ ტენდერში გამარჯვებული კომპანია იმ პერიოდში არ იყო დღგ-ის გადამხდელი,

²⁶ 1 კვ.მ დასაგველი ფართობის ღირებულება შეადგენს 0.372 ლარს.

²⁷ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი.

²⁸ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი.

მაგრამ მიუხედავად ამისა, გაწეულ მომსახურებაზე მას 32.1 ათასი ლარი გადაერიცხა სრულად, მათ შორის, დღგ-ის თანხა შეადგენდა 4.9 ათას ლარს.

- 2012-2013 წლებში ავტომანქანების რეცხვის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით, ხელშეკრულებები გაფორმდა ი/მ ილია გაბელიასთან, საერთო ღირებულებით 7.7 ათასი ლარი²⁹. აღნიშნული ღირებულება მოიცავდა დღგ-ის თანხას. მიუხედავად იმისა, რომ ი/მ ილია გაბელია არ იყო დარეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად, მას თანხა 7.7 ათასი ლარი (მათ შორის, დღგ 1.2 ათასი ლარი) აუნაზღაურდა სრულად.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად ფოთის მერიას უფლება ჰქონდა ტენდერი გამოეცხადებინა როგორც დღგ-ის გათვალისწინებით, ისე დღგ-ის გარეშე. „დღგ-ის გარეშე ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულების დადებისას ღირებულებაში გაითვალისწინოს სატენდერო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობა, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის პრეტენდენტი არის დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად“. იმ შემთხვევაში თუ ფოთის მერია მოახდენდა ტენდერის გამოცხადებას დღგ-ის გარეშე ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური სახსრები უფრო რაციონალურად დაიხარჯებოდა და ბიუჯეტი დამატებით სარგებელს მიიღებდა.

მიმწოდებლებზე გაცემული ავანსები

2012-2013 წლებში თვითმმართველი ქალაქის - ფოთის მიერ სამუშაოების შემსრულებლებზე ავანსის სახით სულ გაცემულია 7 918.2 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ შემსრულებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სამუშაოების მიმდინარეობისას სხვადასხვა მიზეზებით კორექტირდება, რის გამოც რიგ შემთხვევაში ავანსად გაცემული თანხები რჩება აუთვისებელი, ხოლო მათი დაბრუნება ბიუჯეტის ანგარიშზე ხდება დაგვიანებით, კერძოდ:

2012 წლის 23 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულებით, შპს „დაგის“ ქ. ფოთში, რუსთაველის რკალი №24 შენობის ექსტერიერის რეკონსტრუქციის შესასრულებლად,

²⁹ 2012 წელს - 3.2 ათასი ლარი და 2013 წელს - 4.5 ათასი ლარი.

ავანსის სახით გადაეცა 224.2 ათასი ლარი. 2012 წლის 5 ნოემბერს, ხელშეკრულებაში შესული ცვლილების შედეგად, სახელშეკრულებო ღირებულება შემცირდა და შეადგინა 61.9 ათასი ლარი. მიუხედავად სახელშეკრულებო თანხის შემცირებისა, ავანსად გაცემული თანხის ნაშთი 162.3 ათასი ლარი, შემსრულებელმა დააბრუნა 17 დეკემბერს, ანუ 41 დღის დაგვიანებით, ხოლო სახელშეკრულებო თანხიდან აუთვისებელი თანხა 14.8 ათასი ლარი, 31 დეკემბერს - 30 დღის დაგვიანებით.

ავანსად გაცემული თანხების დროულად დაბრუნების შემთხვევაში, ფოთის მერიას შეეძლო მიეღო საბაკო ანგარიშზე არსებულ ნაშთზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი.

საკადრო პოლიტიკა

2014 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, ქ. ფოთის თვითმმართველობაში დასაქმებული იყო 343 პირი, მათ შორის, 60 შტატგარეშე. აღსანიშნავია, რომ 2012 წელთან შედარებით, 2013 წელს თვითმმართველობაში შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა გაიზარდა 23 ერთეულით.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის³⁰ თანახმად შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. ფაქტობრივად კი, წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით გამოვლინდა, რომ მათი აყვანა ხდება მთელი წლის განმავლობაში მუდმივი ამოცანების შესასრულებლად, კერძოდ, სპეციალისტისა და მთავარი სპეციალისტის უფლება-მოვალეობების განსახორციელებლად.

2012 წელს თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურების მუხლიდან, ხელფასის სახით გაცემულია 2 931.2 ათასი ლარი, მათ შორის, 1 147.7 ათასი ლარი გაცემულია პრემიის სახით, რაც მთლიანი ხელფასის 39 %-ს შეადგენს. 2013 წელს შრომის ანაზღაურების მუხლიდან გაცემულია 3 251.4 ათასი ლარი, მათ შორის, პრემიის სახით - 869.0 ათასი ლარი, რაც შრომის ანაზღაურების 26 %-ს შეადგენს.

თვითმმართველობაში არ ხდება თითოეული თანამშრომლის მიერ წლის განმავლობაში (ყოველთვიური და კვარტალური) შესრულებული სამუშაოებისა და სამსახურებრივი დატვირთვის გაანალიზება და შეფასება.

³⁰ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი.

თვითმმართველობის შპს-ები

თვითმმართველი ქალაქის - ფოთის მიერ 100%-იანი წილით დაფუძნებულია 10 სხვადასხვა პროფილის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). მიუხედავად იმისა, რომ შპს-ები შემოსავლებს იღებენ როგორც თვითმმართველობის დაკვეთით შესრულებული სამუშაოებიდან და მომსახურებიდან, ასევე სხვა კერძო სუბიექტებთან გაფორმებული გარიგებებიდან, ფინანსურ წელს მათი უმრავლესობა ასრულებს ზარალით. თვითმმართველობის შპს-ებიდან 2012-2013 წლები მოგებით დაამთავრა მხოლოდ ერთმა, კერძოდ, შპს „ქალაქპროექტმა“, რომლის მიერ მიღებულმა მოგებამ 2012 წელს შეადგინა 26.2 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს - 20.5 ათასი ლარი. შპს „კომპლექსურ სავაჭრო ცენტრს“ მოგება მიღებული აქვს 2012 წელს - 4.9 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელი დაამთავრა ზარალით. შპს-ების წლიური ფინანსური შედეგების ზარალით დასრულება ძირითადად განპირობებულია კონტროლის მექანიზმების არარსებობით და მათი არასწორი მენეჯმენტით, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ შპს-ები თვითმმართველობაში არ წარადგენენ წლიურ ანგარიშებს, შესაბამისად, არც თვითმმართველობები ახორციელებენ შპს-ების წლიური შედეგების განხილვას, ანალიზსა და მათი საქმიანობის შეფასებას.

პრეტენდენტებისაგან ერთგვაროვანი სამუშაოების შესრულების (გამოცდილების) მოთხოვნა

შემსყიდველი ორგანიზაცია ტენდერების გამოცხადებისას ხშირად იყენებს მიმწოდებლის გამოცდილების მოთხოვნას. გამოცდილების მოთხოვნა აუცილებელია, რათა განისაზღვროს თუ რამდენად შეძლებს მიმწოდებელი სამუშაოების დროულად და შესაბამისი ხარისხით შესრულებას. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მერიას არ აქვს შემუშავებული ერთიანი მიდგომა. კერძოდ, 2012-2013 წლებში თვითმმართველი ქალაქის - ფოთის მიერ გამოცხადებულ სახელმწიფო შესყიდვის ტენდერებში, პრეტენდენტებისაგან მოთხოვნილი ტექნიკური დოკუმენტაციის წარდგენა შედგენილია გარკვეული ხარვეზებით, კერძოდ, პრეტენდენტის გამოცდილების დასადაგენად რიგ შემთხვევებში მოთხოვნილია ზოგადად წინა წლებში შესრულებული სამუშაოს ჩამონათვალი, შესასრულებელი სამუშაოს პროფილის გათვალისწინების გარეშე. კერძოდ, ქვემოთ ჩამოთვლილ ტენდერებში, გამოცდილების დასადასტურებლად მოთხოვნილია 2010-2012 წლებში 200.0 ათასი ლარის ღირებულების შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი.

- 2012 წელს - ქ. ფოთში სატუმბი სადგურების მოვლა-პატრონობა, სავარაუდო ღირებულებით 172.1 ათასი ლარი.
- 2012 წელს - სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობა, სავარაუდო ღირებულებით 280.0 ათასი ლარი.
- 2012 წელს - გარე-განათების მოვლა-პატრონობა, ღირებულებით 183.0 ათასი ლარი.
- 2012 წელს - ქ. ფოთის ქუჩების დაგვა-დასუფთავება, ღირებულებით 150.0 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილ ტენდერებში გამარჯვებულად დასახელებულია შპს „ინფრასტრუქტურა 2008“, რომელსაც გამოცდილების დასადასტურებლად წარმოდგენილი აქვს ისეთი სამუშაოების ჩამონათვალი, როგორიცაა, მოხეტიალე პირუტყვის დაჭერა-იზოლირება; დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება; მექანიკური საათისა და ქალაქის რადიოსაათის მოვლა-პატრონობა და სხვ.

აგრეთვე, რიგ შემთხვევებში ტექნიკური დოკუმენტაციის ფარგლებში პრეტენდენტებისაგან გამოცდილების დასადასტურებლად მოთხოვნილია შესასრულებელი სამუშაოს სავარაუდო ღირებულების 100%-დან - 500%-მდე შესრულების დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულება, პროფილის მიხედვით. მაგალითად:

- 2012 წელს ქ. ფოთში საახალწლო და სადღესასწაულო ქალაქგაფორმების დემონტაჟის სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში, სავარაუდო ღირებულებით 10.0 ათასი ლარი, პრეტენდენტებისაგან გამოცდილების დასადასტურებლად მოთხოვნილია 2010-2011 წლებში შესრულებული 50.0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოების დოკუმენტაციის წარდგენა.
- 2012 წელს ფასადებისა და სახურავების კაპიტალური შეკეთების საპროექტო-სახარჯთაღიძვრო მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში, სავარაუდო ღირებულებით 38.4 ათასი ლარი, პრეტენდენტებისაგან ერთგვაროვანი სამუშაოს შესრულების დასადასტურებლად მოთხოვნილია 70.0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოების ჩამონათვალი.
- 2012 წელს საპროექტო მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში, სავარაუდო ღირებულებით 27.1 ათასი ლარი, პრეტენდენტებისაგან მოთხოვნილია 70.0 ათასი ლარის შესრულებული სამუშაოების დოკუმენტაციის წარდგენა.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 18 სექტემბერს გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, რომელიც ითვალისწინებდა სანიაღვრე არხების მოწყობის პროექტირებას, სავარაუდო ღირებულებით 88.3 ათასი ლარი. ტენდერში გამარჯვების ერთ-ერთ პირობად შემსყიდველის მიერ გამოცდილების დასადასტურებლად მოთხოვნილი იყო წინა წლებში შესრულებული, ანალოგიური საპროექტო მომსახურების დოკუმენტაციის წარდგენა, საერთო ღირებულებით 300.0 ათასი ლარი, რაც დაახლოებით 4-ჯერ აღემატება სავარაუდო ღირებულებას. ტენდერში მონაწილეობა მიიღო 4 პრეტენდენტმა, რომელთაგან სამს, არასაკმარისი გამოცდილების გამო, მიენიჭა დისკვალიფიკაცია, კერძოდ:

- შპს „გეომეფი“ - შესრულებული სამუშაოების გამოცდილება 142.6 ათასი ლარი, სატენდერო წინადადების ღირებულება 23.5 ლარი.
- შპს LMC - გამოცდილება 146.5 ათასი ლარი, სატენდერო ღირებულება 28.0 ათასი ლარი.
- შპს „აჭარკაპშენი“ - გამოცდილება 257.0 ათასი ლარი, სატენდერო ღირებულება 46.9 ათასი ლარი.

ხოლო გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „საუკი“, ღირებულებით 75.0 ათასი ლარი.

პრეტენდენტებისაგან მოთხოვნილი გამოცდილების, შესასრულებელი სამუშაოს სავარაუდო ღირებულებასთან მისადაგების (სავარაუდო ღირებულების 100%-150%) შემთხვევაში, გამარჯვებულად გამოცხადდებოდა დაბალი ფასის წარმომდგენი შემსრულებელი, სავარაუდოდ, შპს „გეომეფი“, შედეგად, შესაძლებელი იქნებოდა 51.5 ათასი ლარის ეკონომიის მიღება.

აუდიტორული ფირმის მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

2012 წლის 31 დეკემბერს შპს „აუდიტ-ეკონომიქსთან“ გაფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით 5.6 ათასი ლარი, რომელიც ითვალისწინებდა ქ. ფოთის 2012 წლის ბიუჯეტის აუდიტის ჩატარებას.

2013 წლის 27 თებერვალს შპს „აუდიტ-ეკონომიქსის“ მიერ გაცემულია აუდიტორული დასკვნა, რომელშიც მითითებულია, რომ აუდიტორულმა ფირმამ ჩატარა დაწესებულების (ქ. ფოთის თვითმმართველობა) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს საბალანსო უწყისს 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით, აგრეთვე ფულადი სახსრების მოძრაობას, ბუღალტრული

აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, ხოლო დასკვნით ნაწილში აღნიშნულია, რომ დაწესებულების ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მონაცემები ასახულია უტყუარად და სამართლიანად, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ჯგუფისათვის თვითმმართველი ქალაქის - ფოთის მერიის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი შესაბამისი დანართებით), რაზეც ფოთის მერიის პასუხისმგებელი პირის წერილობით განმარტებაში აღნიშნულია, რომ თვითმმართველობის ბალანსის შედგენა არ ხდება, ვინაიდან სრულყოფილად არ არის აღრიცხული თვითმმართველობის ქონება. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფის მიერ ვერ იქნა მოპოვებული ინფორმაცია იმ ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელზეც შპს „აუდიტ-ეკონომიქსმა“ გასცა დასკვნა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანების შესრულება

2012 წლის ივლისიდან წლის ბოლომდე, სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებულია 37 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 6 694.0 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს - ერთი ხელშეკრულება, ღირებულებით 35.4 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ შესრულებული სამუშაოების ღირებულება მერიის მიერ ანაზღაურებულია ფაქტობრივი დანახარჯების გათვალისწინების გარეშე³¹.

იმის გამო, რომ ქ. ფოთის მერიამ აუდიტის ჯგუფს ვერ წარუდგინა კონტრაქტორების ფაქტობრივი დანახარჯების ამსახველი დოკუმენტაცია, ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რამდენად კანონთან შესაბამისად განხორციელდა გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულების ანაზღაურება. გამომდინარე აღნიშნულიდან, აუდიტის ჯგუფის მოთხოვნით, ქ. ფოთის მერიამ წერილობით მიმართა სამუშაოს შემსრულებლებს, რომ მათ წარმოედგინათ სამუშაოების შესრულებაზე გაწეული ფაქტიური ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მაგრამ მიუხედავად მოთხოვნისა შემსრულებლების მიერ არ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული დოკუმენტაცია. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს შესწავლას საგამომიებო ორგანოების მიერ.

³¹ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანება.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

შსს-ს ადგილობრივ ორგანოებზე გაწეული ხარჯი

თვითმმართველი ქალაქის - ფოთის მიერ 2012 წელს პოლიციის ადგილობრივ განყოფილებაზე სუბსიდიის სახით გაცემულია 305.6 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს -55.9 ათასი ლარი³². გაწეული ხარჯების ფარგლებში, პოლიციის განყოფილების ხელმძღვანელის მოთხოვნით, ქ. ფოთის მიერ შეძენილია სხვადასხვა საქონელი, კერძოდ, 2 ავტომანქანა საერთო ღირებულებით -134.7 ათასი ლარი, „აიპადი“ ღირებულებით - 1.8 ათასი ლარი, ფოტოაპარატი ღირებულებით - 1.6 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ იმ პირობებში, როდესაც თვითმმართველი ქალაქის - ფოთის საკუთარი შემოსავლების სიმცირის გამო, გათანაბრებითი ტრანსფერის სახით ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მიზანშეწონილი არ არის პოლიციის ადგილობრივი განყოფილების ხარჯების გაწევა ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რადგან შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების ხარჯების გაწევა სახელმწიფო ბიუჯეტის პრეროგატივაა.

საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა

2012 წლის 20 იანვარს თვითმმართველი ქალაქის - ფოთის მიერ გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „დაუ“-სთან, ღირებულებით 4.8 ათასი ლარი, რომელიც ითვალისწინებდა საბიუჯეტო საკითხებზე საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვას. აღსანიშნავია, რომ იმ პირობებში, როდესაც ქ. ფოთის მერიის საფინანსო სამსახურში დასაქმებულია 21 თანამშრომელი, რომელთა უფლება-მოვალეობაა საბიუჯეტო კანონმდებლობის ცოდნა და პრაქტიკაში განხორციელება, მიზანშეწონილი არ არის ანალოგიურ საკითხებზე კონსულტანტის მომსახურების შესყიდვა და ხარჯის გაწევა.

სხვადასხვა საქონლის შესყიდვა

2012-2013 წლებში თვითმმართველი ქალაქის - ფოთის მერიის მიერ სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად შესყიდვის ხელშეკრულებები, საერთო ღირებულებით 87.0 ათასი ლარი, გაფორმებულია შპს „პონტოსთან“ და შპს „პონტო კოლხთან“ (დირექტორი ერთი და იგივე პირია). აღსანიშნავია, რომ მომწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (სულ, 43 ხელშეკრულება) 37 გაფორმებულია გამარტივებული

³² 2013 წელს გაწეული ხარჯი წარმოადგენს 2012 წელს აღებული ვალდებულებების დაფინანსებას.

შესყიდვის ფორმით, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში, გამოვლენილია გამარჯვებულად ტენდერებში, რომლებიც ძირითადად მიმდინარეობდა უკონკურენტო გარემოში. გაფორმებული ხელშეკრულებები შეეხება სხვადასხვა საქონლის მოწოდებას, კერძოდ; ავტომანქანებისა და კომპიუტერების რემონტს, კატრიჯების დამუხტვას, სამეურნეო საქონლის, მინერალური წყლების, მობილური ტელეფონებისა და სხვადასხვა საჩუქრების შეძენას.

საჯარიმო თანხების გადახდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული აღსრულების ბიუროს 2013 წლის 23 და 30 იანვრის შეტყობინებების საფუძველზე, თვითმმართველი ქალაქის - ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით³³, მერიის საფინანსო სამსახურს დაევალა ქალაქის საკუთრებაში არსებულ 2 ავტომანქანაზე³⁴ რიცხული დავალიანების გადახდა, სულ 384 ლარი (მათ შორის, ჯარიმა 320 ლარი, საურავი 64 ლარი)³⁵, რომელიც დაეკისრა ავტომანქანის პარკირების წესების დარღვევისათვის. აღნიშნული თანხა საფინანსო სამსახურის მიერ 2013 წლის 31 იანვარს გადაერიცხა სსიპ - ეროვნული აღსრულების ბიუროს.

მიზანშეწონილია, სამსახურებრივი ავტომანქანებით მოძრაობის წესების დარღვევის შემთხვევაში, დარიცხული საჯარიმო თანხები გადახდილ იქნეს არა ბიუჯეტის სახსრებით, არამედ უშუალოდ წესების დამრღვევი პირების მიერ (მძღოლები).

განხორციელებული შესყიდვები

2012-2013 წლებში თვითმმართველი ქალაქის - ფოთის მიერ ჩატარებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერების პროცესებზე, უმრავლეს შემთხვევაში ფიქსირდება უკონკურენტო გარემო, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შეზღუდულ ვადებში განხორციელებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია თვითმმართველი ქალაქის - ფოთის მიერ შესყიდვა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით. (მიუხედავად იმისა, რომ

³³ თვითმმართველი ქალაქის - ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 31 იანვრის №20 ბრძანება.

³⁴ მარკა - TOYOTA PRADO (სანომრე ნიშანი - WHW-388) და BMW-750 (სანომრე ნიშანი - SZS- 005).

³⁵ თითოეულ მანქანაზე გადახდილია 192-192 ლარი.

კანონმდებლობის სრული დაცვით, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების მოცულობიდან გამომდინარე, შესაძლებელია შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით). აღნიშნული ხელს შეუწყობს კონკურენციას ტენდერზე და დაინტერესებულ პრეტენდენტებს საშუალებას მისცემს ინფორმირებული იყვნენ ტენდერის გამოცხადების შესახებ. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შეზღუდულ ვადებში განხორციელების გამო, შეიძლება ყველა დაინტერესებულმა მსურველმა ვერ მოახერხოს ტენდერში მონაწილეობის მიღება. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აღნიშნული შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველს არ გააჩნია აუცილებლობა შეზღუდულ, მოკლე ვადაში საქონლის/სამუშაოს შესყიდვაზე.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლებზე“ საკითხების შესაძლო გავლენისა, თვითმმართველი ქალაქის - ფოთის მიერ 2012-2013 წლებში განხორციელებული სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უფროსი აუდიტორი:

ბადრი ჯანჯღავა



ხელმოწერა 31.07.2014 თარიღი

აუდიტორი:

მიხეილ ჩიქოვანი



ხელმოწერა 31.07.2014 თარიღი

აუდიტორი:

თეა უდესიანი



ხელმოწერა 31.07.2014 თარიღი

აუდიტორი:

ლალი ამბროლაძე



ხელმოწერა 31.07.2014 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი
თათია ამბროლაძე

თ. ამბროლაძე

ხელმოწერა

31.07.2014

თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:
შალვა ბუცხრიკიძე

შ. ბუცხ

ხელმოწერა

31.07.2014 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:
თამარ კუხიანიძე

თ. კუხიანიძე

ხელმოწერა

31.07.2014 თარიღი